საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები 2022 წელი

ორგანიზაციულ ფუნქციური განვითარება

1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ხულოს სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ქ. კასპის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2023 წლის ბოლომდე;
- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა დაბა ქედის სახანძრო-სამაშველო ობიექტის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და მიმდინარეობს ქ. თბილისში, გორგასლის 83ა დაზიანებული კედლის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2023 წლის ბოლომდე;
- დაიწყო და მიმდინარეობს ქ. ბათუმის ნავსაყუდელის ტერიტორიაზე განთავსებული სამაშველო განყოფილებისთვის საოფისე ფართის მოწყობის სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2023 წლის ბოლომდე;
- განხორციელდა სამსახურის ზოგიერთ დანაყოფში კომუნალურებზე დაერთებისა და სეპტიკის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისის სამ დანაყოფში მოეწყო სამორიგეო ჯიხურები;
- დაიწყო ახალი სახანძრო-სამაშველო განყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოები აბასთუმანში, უახლოეს მომავალში დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოები ონსა და ბორითში;
- განხორციელდა გარდაბნის სახანძრო-სამაშველო განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოები.

2. განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციების დროს შემთხვევის ადგილზე მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში გამოცხადების მიზნით, შესყიდულ იქნა და შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებზე დამაგრდა ციმციმები და ხმამაღლა მოლაპარაკეები;
- სახანძრო საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას გამოსაყენებლად შეძენილ იქნა სამხრე კამერები;
- შეძენილ იქნა წყალზე განსახორციელებელი სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო მყვინთავის აღჭურვილობა;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ზამთრის უნიფორმა და მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ასევე უსაფრთხოების ფეხსაცმელი, მეხანძრის ცეცხლგამძლე და სამაშველო ხელთათმანი, საბრძოლო ფორმა/აღჭურვილობა, სამთო აღჭურვილობა/ტანსაცმელი, სააღლუმე ფორმები, საველე აღჭურვილობა, საწვიმარი ლაბადები, ოპერატორების მაისურები, ზამთრის ქუდები, დამცავი სათვალეები,

ზედამხედველობის თანამშრომლებისათვის ფორმა-ტანსაცმელი, მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური უნიფორმა და რეზინის ჩექმები;

- შეძენილი იქნა ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით საჭირო სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე სამაშველო თოკები, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები, ასევე სამაშველო ჟილეტი და ჩანთები;
- სამსახურის ახალი შენობებისთვის შეძენილ იქნა საოფისე ავეჯი და შესაბამისი ტექნიკა;
- შესყიდულ იქნა სამაშველო ოპერაციების დროს წყლის ფსკერის სკანირების მოწყობილობა "ექოლოტი" (ორი ერთეული), საფრენი მოწყობილობა (დრონი) და ხანძრის ქრობის დროს წყალდამცლელი მოწყობილობები (კალათა);
- ოპერატიული მართვის ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკა;
- შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა სტაციონარული დიზელ-გენერატორი;
- სამსახურის სამაშველო დანიშნულების ავტომანქანებისთვის შეძენილ იქნა სახურავის საბარგულები და ჯალამბრები;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და ვიდეო-აუდიო აპარატურა.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურს გადმოეცა შემდეგი სახის აღჭურვილობა:

- 3 ერთეული დრონი DJI MAVIC 2 enterprise DUAL;
- 3 ერთეული კვადროციკლი (CFORCE 850 XC);
- ურბანულ ნანგრევებში მსხვერპლის საძიებო სხვადასხვა დასახელების აღჭურვილობა;
- 7 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოტექნიკა;
- წყალზე სამაშველო აღჭურვილობა;
- სახანძრო ავტომანქანა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის;
- 7 ერთეული სპეციალიზებული პლანშეტი;
- ტყის ხანძრების აღმომჩენი ავტომატური სისტემა „MASP“;
- „BRP“-ის ფირმის 6X6 ტიპის 2 ერთეული კვადროციკლი. აგრეთვე, გაერთიანებული ერების ოფისის (UNOPS)-ის მიერ სამსახურს გადმოეცა „GM MOTO“-ს ფირმის 3 ერთეული კვადროციკლი;
- ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების, კონტროლისა და მათთან ბრძოლაში ხელშეწყობის მიზნით, US DTRA-მ 2022 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადასცა 912 495 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა სახის ქბრბ აღჭურვილობა;

- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის შედეგად, მნიშვნელოვნად განახლდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ODC-მ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 2022 წელს გადასცა 125 000 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა სახის აღჭურვილობა.

3. განახლებული მცურავი და სამთო-სამაშველო საშუალებების ავტოპარკი

- ზამთრის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეძენილია კვადროციკლის მუხლუხოების სისტემა (შალგები);
- ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აღდგენილია კატარღის დაზიანებული ძრავი;
- კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა სახანძრო-სამაშველო დანიშნულების "MERCEDES-BENZ ZETROS 2733"-ის (ძრავის აღდგენა) და სამაშველო დანიშნულების "MITSUBISHI L200"-ის მარკის ავტომანქანებს, რომლებიც ჩატარებული სამუშაოების შემდეგ ჩადგნენ განწესში;
- შს სამინისტროდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 3 ერთეული „Kia Rio“-ს მარკის მსუბუქი ავტომანქანა და 15 ერთეული "MITSUBISHI L200"-ის მარკის მაღალი გამავლობის ავტომანქანა.

4. ორგანიზაციული განვითარება

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტში ცალკე სტრუქტურულ ერთეულად შეიქმნა ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების მთავარი სამმართველო 59 საშტატო ერთეულით;
- 2022 წელს სეზონური მაშველების ანაზღაურება გაიზარდა 27,0%-ით;
- სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა აქტიურად მონაწილეობს როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის კონფერენციებსა და სწავლებებში;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ახორციელებს პროექტს „მოხალისე“, რომელიც გულისხმობს მოხალისეების მოზიდვასა და ჩართვას როგორც საგანგებო სიტუაციების რეაგირების სამუშაოებში, ასევე მზადყოფნის, პრევენციისა და აღდგენის დონეზე განხორციელებულ საქმიანობაში. პროექტის ფარგლებში, დაკომპლექტებულია მოხალისეთა ჯგუფები სამცხე-ჯავახეთში (ბორჯომი) და აჭარაში (ხულო). თანამშრომლობის მოდელის ფარგლებში, ბორჯომსა და ახალციხეში შეიქმნა საერთო მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია წითელი ჯვრის საზოგადოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.

მოხალისეებისთვის შეიქმნა უნიფორმის მოდელი, შემუშავდა სიმულაციური ვარჯიშის სცენარი და 40 მოხალისეს ჩაუტარდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებები.

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის მიღებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2022 წლის 06 სექტემბრის კანონი - აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, **სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში შეიქმნა სასწავლო ცენტრი**, რომელიც უზრუნველყოფს მოსამსახურეთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირთა სწავლებას სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში და ამ მიზნით შესაბამისი სასწავლო პროგრამების/კურსების შემუშავება-განხორციელებას;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი სახელმწიფო მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308 დადგენილება;
- „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N309 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის - „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის №89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N307 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის N508 დადგენილება;

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი - აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილოს ადგილზე და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 64 ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები -

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) ფინანსური მხარდაჭერით, კლიმატის რისკის ინტეგრირებული მართვის (CRM) პროექტის ფარგლებში განხორციელდა სიღნაღის, ახმეტის, გორის, ლაგოდეხისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების მიზნით, მერიის სამსახურების უფროსებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილი პირების მომზადების 3 ფაზით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე დაგეგმილია ანალოგიური სწავლებები ქ. თბილისის, აბაშის, სენაკის, ხობისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებული და შემდგომი აქტივობები:

- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამის PPRD East 3 ფარგლებში ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი ტერიტორიული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მონაწილეობით თეორიული და პრაქტიკული სწავლებები ჩატარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის 4 საჯარო სკოლაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შსს სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ქ. მარნეულის, ქ. გორის, ქ. საგარეჯოს, ქ. რუსთავისა და ქ.

თელავის შშმ თემების წარმომადგენლებთან წარდგენილი იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაწეული აქტივობები;

- საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთდა ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილ პირთა საკონსულტაციო შეხვედრებს საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მოსახლეობის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების არაერთ ღონისძიებაში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მათ შორის ინკლუზიური და სპეციალურ საგანმანათლებლო სუბიექტებთან ერთობლივად) თანამშრომლობით, საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, პერმანენტულად ატარებენ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებს;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სწავლებებში, ვარჯიშებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

- სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობების ზრდისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს თანამშროლობა ევროკავშირთან სხვადასხვა პლატფორმებზე (DG ECHO, UCPM, PPRD East 3, EU SAFE);
- ევროკავშირის პროგრამა - EU4 Security, Accountability and Fight against Crime in Georgia (SAFE) ფარგლებში, მიმდინარეობს პროექტი სახელწოდებით „ტექნიკური შესაძლებლობების განვითრების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“. პროექტის ფარგლებში 2022 წელს განხორციელდა არაერთი აქტივობა, მათ შორის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება სწავლებებისა და გადამზადებების მიმართულებით. მიმდინარე წელს დაიწყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ექსპერტული მხარდაჭერის პროექტი. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს ექსპერტულ დახმარებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მოხალისეთა სისტემის განვითარება, კომუნიკაცია კრიზისულ სიტუაციებში, სახანძრო უსაფრთხოება, სამოქალაქო უსაფრთხოება და სხვა;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან (პოლონეთი, ავსტრია, საფრანგეთი, დანია, გერმანია) ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველი მორეაგირეების შესაძლებლობები სტანდარტიზებული ტრენინგ კურსებისა და

სიმულაციური სწავლებების ორგანიზებითა და სპეციალიზებული აღჭურვილობების მოწოდების გზით;

- NATO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საველე-სამეთაურო სწავლებებში, რაც მოიცავს კატასტროფების რისკის მართვასა და შესაბამისი რეაგირების საკითხებს;
- 2022 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 140 000 აშშ დოლარის ღირებულების ერთი ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტო-კიბე, რომელიც გამოიყენება ქ. ქუთაისში მაღალსართულიან შენობებზე საევაკუაციო და ცეცხლის ქრობის სამუშაოების განხორციელებისთვის;
- UNDP-ის პროგრამა „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, დაიწყო აქტიური თანამშრომლობა მრავალმხრივი საფრთხეების რისკის მონაცემთა ბაზის დამუშავებისა და მუნიციპალურ დონეზე სწავლებების დაგეგმვა/განხორციელების კუთხით;
- 2022 წელს საერთაშორისო ეგიდით გამართული სასწავლო კურსების მეშვეობით გადამზადდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 238 თანამშრომელი;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობების გაზრდისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამა - PPRD East 3-ში. 2023 წელს საქართველო უმასპინძლებს ფართომასშტაბიან საველე სწავლებას ტყის ხანძრების თემაზე;
- SNGP ინიციატივის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ინსტრუქტორებმა რეზერვისტებისთვის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კურსი ჩაატარეს. სწავლება უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე, სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების დროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობების განვითარებას ისახავდა მიზნად;
- ქ. ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარ სკოლასთან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, 2022 წელს ქართველმა სპეციალისტებმა პოლონეთში მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალების ტექნიკური მომსახურების საკითხების შესახებ კურსი გაიარეს. სწავლება ასევე მოიცავდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებზე რეაგირების საკითხებს;
- ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, 2022 წლის I კვარტალში დაბა გუდაურში, ავსტრიელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარდა სწავლება სათხილამურო ტრასებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის და ზვავსაშიშ ზონებში სამაშველო ოპერაციების ჩატარების მიმართულებით. ერთკვირიანი კურსი, მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სავარჯიშოებს და მასში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა

დეპარტამენტის თანამშრომლები. აღნიშნული კურსის ფარგლებში, ქართველ მეხანძრე-მაშველებს გადაეცათ სხვადასხვა სახის აღჭურვილობა;

- აშშ-ს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაუმტკიცდა 305 000 დოლარის ღირებულების პროექტი ტყის ხანძრებთან ბრძოლის წინააღმდეგ;
- ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების, კონტროლისა და მათთან ბრძოლაში ხელშეწყობის მიზნით, US DTRA-2022 წლის I კვარტალში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადასცა მასობრივი დეკონტამინაციის სრულ აღჭურვილობა. პროექტის ღირებულება შეადგენს 912 000 დოლარს.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

- საანგარიშო პერიოდში სრულად დაინერგა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss), მიმდინარეობს მისი ფუნქციონალის განვითარების სამუშაოები, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ელექტრონული ოქმის შემუშავება;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერაქტიული რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალის დახვეწა/განვითარების სამუშაოები;
- განვითარდა სამსახურის შიდა საინფორმაციო პორტალი main.es.gov.ge და დაემატა ახალი ბმულები:
  - https://warehouse.mia.gov.ge/ საწყობის მართვის სისტემა;
  - https://assets.mia.ge/ ინვენტარების მართვის სისტემა;
  - http://codex.mia.ge/ სამართლებრივი აქტების მართვის სისტემა;
- პილოტირების რეჟიმში დანერგილ სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემის (efris) პლატფორმაზე შემუშავდა:
  - ცვლაში მყოფ მეხანძრე-მაშველთა და შესაბამისი ტექნიკის აღრიცხვის მოდული;
  - მეხანძრე-მაშველთა ინციდენტზე რეაგირების შეტყობინების სასიგნალო მოდული;
  - ოპერატორების სამუშაო განრიგის აღრიცხვის მოდული;
  - საოპერაციო გარემოში დაინერგა სატესტო რეჟიმში მყოფი ლოჯისტიკის მართვის მოდული;
- შემუშავდა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს სამსახურის ახალი ვებ-გვერდები:
  - გახდი ინსტრუქტორი - http://instructor.es.gov.ge
  - გახდი მენტორი - http://mentor.es.gov.ge